გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება № 11
2020 წლის 13 მარტი
ქ.გორი

„გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. „გორის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №19 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 16/11/2017, 010260020.35.148.016405) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-100 გრაფა ამოღებულ იქნას.
ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 102-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

102	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	1	700

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 103-ე გრაფა ამოღებულ იქნას.
დ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 104-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

104	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი)	III კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	უმცროსი სპეციალისტის თანამდებობა	1	650

ე) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 111-ე გრაფა ამოღებულ იქნას.
ვ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 112-ე გრაფა ამოღებულ იქნას.
ზ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის 114-ე გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

114	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	უფროსი სპეციალისტის თანამდებობა	4	900

თ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს 123-ე გრაფის შემდეგ დაემატოს გრაფა შემდეგი რედაქციით:

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები

ი) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 124-ე გრაფა შემდეგი რედაქციით:

124	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი		გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი	33	1100

კ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 125-ე გრაფა შემდეგი რედაქციით:

125	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი		გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ასისტენტი	25	700

ლ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ს დაემატოს 126-ე გრაფა შემდეგი რედაქციით:

126	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი		გორის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ასისტენტი	38	650

მუხლი 2.

1. ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილების 1-ლი მუხლის „ე", „ვ" და „ზ" ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 6 მარტიდან წარმოშობილ სამართალურთიერთობებზე.
2. ამ დადგენილების 1-ლი მუხლის „ე", „ვ" და „ზ" ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის 15 აპრილს.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**